



საზოგადოებრივი მაუწყებლის სარადაქციო პრინციპები სახელმძღვანელო

საზოგადოებრივი მაუწყებლის განაცხადი

საზოგადოებრივი მაუწყებელი დაფუძნებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ის ანგარიშვალდებულია მხოლოდ საზოგადოების წინაშე.

„კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომარცხილი გავლენისაგან“.
საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 17(6))

საზოგადოებრივი მაუწყებელი:

- იღებს ციფრული რევოლუციის გამოწვევებს, რომელმაც შეცვალა და გაამდიდრა მედიის ურთიერთობა აუდიტორიასთან, მასობრივ და ინდივიდუალურ დონეზე;
- ემნის ახალ გზებს, რომ ემსახუროს საზოგადოებას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, ახალ, განვითარებად და არსებულ პლატფორმაზე;
- მიზნად ისახავს ყველას ჩართულობას და ხელს უწყობს საზოგადოების გაერთიანებას;
- მუშაობს დამოკრძალებული, კულტურული და სოციალური საჭიროებების ევროპული სტანდარტებით დასაკმაყოფილებლად;
- მიზნად ისახავს, ხმა მიანვდინოს საზოგადოების ყველა წევრს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს გამოხატვის თავისუფლებასა და მოსაზრებების პლურალიზმის უზრუნველყოფაში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუშაობის უმაღლეს სტანდარტს, პროფესიული ეთიკის პრინციპებსა და სამართლიანობას.

მაყურებელთან ურთიერთობისას მთავარი დეობაა, რომლის მოპოვებაც აუცილებელია ყოველდღიურად.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სარადაქმნო პრინციპები ეფუძნება ევროპის მაუწყებელთა კავშირის ექვს ძირითად ღირებულებას, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობის აუცილებლობას ჭაშმარით დამოკრძალებულ საზოგადოებაში.

- **უნივერსალურობა**
- **დამოუკიდებლობა**
- **უპირატესობა**
- **მრავალფეროვნება**
- **ანგარიშვალდებულება**
- **ინოვაციურობა**

ამ ღირებულებებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს მოეთხოვება შემდეგი:

- **მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა**
- **სამართლიანობა და პატივისცემა**
- **სიზუსტე და აქტუალურობა**
- **ჩართულობა და ანგარიშვალდებულება**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ექვსი ძირითადი ღირებულება

1. უნივერსალურობა

- ჩვენი მიზანია, ვამსახუროთ საზოგადოებას გამონაკლისების გარეშე;
- ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ მრავალფეროვნანი იდეების, მოსაზრებების გაზიარებისა და გამოხატვის მნიშვნელობას;
- ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ სივრცე, სადაც ყველა ინდივიდისთვის ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტი. მიზნად ვისახავთ სოციალურ ჩართულობას და ინტეგრაციას;
- ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა კლათფორმას და საზოგადოებას ვთავაზობთ მომსახურებას ყველა შესაძლო ფორმით.

2. დამოუკიდებლობა

- ჩვენ ვეძებთ უსაფრთხო მადიან სივრცეს და ვაწარმოებთ ყველა ჟანრისა და ფორმატის სანდო პროგრამებს, როგორც ახალი ამბების მიმართულებით, ასევე გასართობ, შემეცნებით, სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ნაწილში;
- ჩვენ მივიხსნაფვით, ვიყოთ სრულიად მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები პოლიტიკური, კომერციული, ასევე სხვა გავლენისა და იდეოლოგიისგან. თავისუფლად განვიხილოთ ნებისმიერი საკითხი და წვლილი შევიტანოთ საზოგადოების ინფორმირებაში.

3. უპირატესობა

- ჩვენ ვმოქმედებთ სამართლიანობის, პროფესიონალიზმისა და ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვით; ვცდილობთ შევემნათ საუკეთესო გამოცდილება მადლის სფეროში;
- ხელს ვუწყობთ თანამშრომლების მუდმივ განვითარებასა და შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებას.

4. მრავალფეროვნება

- ჩვენი აუდიტორია მრავალფეროვანი ინტერესთა ჯგუფებისგან შედგება: სხვადასხვა ასაკი, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილება. ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ მრავალფეროვანი და კლურალისტური იმ თემაებში, რომლებზეც ვმუშაობთ, მოსაზრებებში, რომლებსაც გამოვხატავთ;
- ჩვენ მხარს ვუჭერთ და ვცდილობთ, ხელი შევეწყოთ კონკურენტული შეხედულებების სიმრავლეს, სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანების წარმომადგენს. შემოქმედებითი ზრდის მიღწევა შესაძლებელია განსხვავებული მოსაზრებების თანაარსებობით, ჩვენი მიზანია, შევემნათ უფრო მეტად ერთიანი და ნაკლებად დაყოფილი საზოგადოება.

5. ანგარიშვალდებულება

- ჩვენ ვართ ღია, ვუსმენთ ჩვენს აუდიტორიას და ვართვებით მნიშვნელოვან დებატებში;
- ჩვენი მუშაობა და მისი შედეგები არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- ჩვენ ვახორციელებთ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს (ყველა გაშუქებული თემის), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია.

6. ინოვაციურობა

- ჩვენ მივისწრაფვით, ვიყოთ ინოვაციების და შემოქმედების ამომძრავებელი ძალა;
- მიზნად ვისახავთ შევემნათ ახალი ფორმატები, დავწეროთ და გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები და ახალი გზები აუდიტორიასთან დასაკავშირებლად;
- ჩვენ ვაზიარებთ ჩვენს გუნდს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ და შექმნან ციფრული მომავალი, რომელიც მოამსახურება ჩვენს საზოგადოებას.

სარადაქმნო პრინციპები

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის (თუნდაც ერთი ინდივიდის) ქმედებაზეა ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ორგანიზაციის სარადაქმნო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ღირებულებებიდან გამომდინარე, მისი თანამშრომლები და განსაკუთრებით, ჟურნალისტები პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფლები არიან.
2. ჩვენ გზად ვართ, მივიღოთ ნებისმიერი ამბავი, ნებისმიერი წყაროდან ნებისმიერ ადგილას, იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ის აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტორიისთვის.
3. საჭიროების შემთხვევაში, ვიცავთ ინფორმაციის წყაროების ანონიმურობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ წყაროს შეიძლება რაიმე სახის ზიანი მიადგას. თუ სარადაქმნო თვალსაზრისით არსებობს წყაროს ანონიმურად დათმობის მყარი არგუმენტი, ჩვენ აუცილებლად გასაგებად ავუხსენით ამას საზოგადოებას.
4. ძალადობის, დანაშაულის, ომის, კონფლიქტების, უბედური შემთხვევებისა თუ კატასტროფების მსხვერპლნი და მათი ახლობლები მაქსიმალურ მხარდაჭერას და პატივისცემას იმსახურებენ. ვაცნობიარებთ, რომ ადამიანის რასკონდენდოდ ქცევა, როდესაც ის რთულ/თრაგიკულ სიტუაციაში არის, შეიძლება აღქმული იყოს, როგორც უპატივცემულო და ექსკლუატიზმორული ქმედება. ასეთ დროს სარადაქმნო გადაწყვეტილებების მიღებისას, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და რადაქმნის მაქსიმალური ჩართულობა.
5. სანამ დაგარალებული ვირის ვინაობა დასახელდება რეკორდაჟის დროს, მათ ნათესავებს საჭიროებისამებრ უნდა მიეწოდოთ ამის შესახებ ინფორმაცია.
6. ადამიანები, რომლებსაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში, სანამ მათი ბრალულობა დამტკიცდება, უდანაშაულოდ ითვლებიან. მასალა აღნიშნულს უნდა ასახავდეს.
7. საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთერში არ უშვებს ისეთ კადრებს, რომლებმაც შეიძლება მძიმე კვალი დატოვოს მაყურებელზე, როდესაც აღნიშნული მასალა არ შეიცავს საზოგადოების ინფორმირებულობისთვის გარდაუვალ აუცილებლობას.
8. საზოგადოებრივი მაუწყებელი მძიმე თემებს აშუქებს იმგვარად, რომ თავიდან აიცილოს მათი ზეგავლენა საზოგადოებაზე, მაგალითად, უკიდურესი ახლო კადრის ჩვენებით; აღნიშნული მეთოდი ასევე გამოიყენება შემდგომში მასალის დამონტაჟებისას.
9. ჩვენ გაცნობიარებული გვაქვს იმ გავლენის ძალა, რაც ომის, კონფლიქტის, კატასტროფების კადრებს აქვს. ჩვენ ვალდებული ვართ, ყველა ახალი ამბავი დიდი სიფრთხილით გავაშუოთ. ვაცნობიარებთ, რომ ომის კადრები ვერ იქნება ისე დამუშავებული, რომ დაიფაროს სისხლიანი რეალობა. შესაბამისად, რეალობას ვაშუქებთ პასუხისმგებლიანი გზით. საჭიროების შემთხვევაში, მაყურებლებს წინასწარ ვაფრთხილებთ მოსალოდნელი მძიმე კადრების შესახებ.

10. საარქივო მასალები, რომლებშიც ასახულია ადამიანები კონკრეტულ სიტუაციაში, დაუშვებელია გამოყენებული იყოს სხვა კონტექსტში, გარდა იმ კონტექსტისა, რომელსაც ასახავს.
11. ჩვენ არ ვიხდით თანხას ინფორმაციისთვის, რომელსაც ვაშუქებთ და არც სხვაგვარად ვაჭილდობთ ჩვენს წყაროებს ცნობების მოწოდებისთვის, გარდა იმისა, რომ ვაძლავთ საშუალებას ფართო საზოგადოებას გაუჩიაროს სათქმელი, თუ ეს რელევანტურია.
12. შესაძლოა ჩვენი ინტერვიუ კრიტიკული იყოს, მაგრამ ის არ გასცდება პიროვნების პატივისცემის საზღვრებს.

არჩევნების გაშუქება

- საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გააშუქოს არჩევნები და მასში მონაწილე სუბიექტები;
- სინფორმაციო გამოშვებებში, ასევე სხვა გადაცემებში დაუშვებელია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის დისკრიმინაცია ან საარჩევნო სუბიექტისთვის უპირატესობის მინიჭება;
- ჟურნალისტებმა მიუკერძოებლად უნდა გააშუქონ საარჩევნო კამპანია. თვითნებურად ან განგებ არ გამოთქვონ სიუჟეტში რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი. გაასწორონ ნებისმიარი შეცდომა, რომელსაც აღმოაჩენენ;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი სავარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბარ პირობებს სთავაზობს;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი სავარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს დაბატებისთვის ეთერს უთმობს;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი ვასუხისმგებლობას იღებს, რომ დაბატები რატომღაც სართაშორისო სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად გარემოში, სადაც სუბიექტებს საშუალება ექნებათ, საკუთარი პოზიცია ამომრჩევალს თანაბარ პირობებში გააცნონ.

უსაფრთხო მედია

- საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც უსაფრთხო მედია, მთელ ძალისხმევას იყენებს იმისთვის, რომ დაიცვას ბავშვები და მოზარდები საზიანო მასალისგან, როგორც პროგრამების მომზადების, ასევე მათი ტრანსლირების დროს;
- ჩვენ არ ვარჩევნებთ იმ მასალას, რამაც შესაძლოა სერიოზულად ავნოს ბავშვისა და მოზარდის ფიზიკურ, გონებრივ თუ მორალურ განვითარებას;
- ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ბავშვების დაცვაზე ისეთი ციფრული სამყაროსგან, რომელიც მათ ზიანს მიაყენებს.

ონლაინ მადია

საზოგადოებრივი მაუწყებელი ონლაინ სივრცეს მიიჩნევს, როგორც ოპერირების ერთ-ერთ მთავარ ველს.

- ჩვენთვის საყურადღებოა თითოეული მაყურებლის უკუკავშირი, სამომავლო ხედვისა და მოსაზრებების განვითარებისთვის;
- ჩვენ თვალს ვადევნებთ კომენტარებს. ჩვენ ვიძოვებთ უფლებას, წავშალოთ ისეთი ონლაინ აქტივობები, რომლებიც შეიცავენ დისკრიმინაციულ (ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ, რასისტულ, ჰომოფობიურ), გავრცელებისთვის საზიანო ან სხვა მხრივ შეუსაბამო შინაარსს;
- ჩვენი გვაქვს აბიჯია, ვიყოთ სანდო გზამკვლევი ონლაინ სივრცეში;
- ონლაინ ვლადიმერმა მაუწყებლის საჭაროების და ანგარიშვალდაუბლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

დოკუმენტი აერთიანებს ღირებულებებს, სარდაქციო პრინციპებსა და სახელმძღვანელოს, როგორც სამუშაო ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება ჟურნალისტებსა და რედაქტორებს სრულყოფილ მუშაობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განმტკიცებაში.

დოკუმენტი შეამუშავებულია ჯონათან სტოუნმენის და სეპარტველოს პირველი არხის ჟურნალისტების ერთობლივი მუშაობით.



ჯონათან სტოუნმენი 20 წლის განმავლობაში BBC-ის ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურში ჟურნალისტის, პროდიუსერის, რედაქტორის და მკვლევარის პოზიციებს იკავებდა, საბოლოოდ კი BBC World Service-ის ტრენინგმენტორის ხელმძღვანელი გახდა. ამჟამად სტოუნმენი საკონსულტაციო კომპანიას Stonepeople Media მართავს.